

შპს ერიქსონ საქართველო

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული

საანგარიშგებო წლისთვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება ხელმოწერილი	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	6

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	7
2. მომზადების საფუძვლები	7
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	8
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	11
5. ძირითადი საშუალებები.....	12
6. მარაგები	12
7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13
8. ფული და ფულის ექვივალენტები.....	13
9. მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	14
10. ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	14
11. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	15
12. კურსთაშორის სხვაობით წარმოშობილი ზარალი.....	15
13. პირობითი ვალდებულებები.....	15
14. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	16
15. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	16

შპს ერექსონ საქართველო

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება


2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	2,573,627	4,033,072
სულ გრძელვადიანი აქტივები		2,573,627	4,033,072
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	6	1,082,083	2,489,278
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	3,921,242	1,172,871
საგადასახადო აქტივი		-	141,289
წინასწარ გაწეული ხარჯები		18,563	58,770
გადახდილი ავანსები		85,211	233,674
ფული და ფულის ექვივალენტები	8	487,050	2,822,181
სულ მიმდინარე აქტივები		5,594,149	6,918,065
სულ აქტივები		8,167,776	10,951,137
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		2,000	2,000
გაუნაწილებელი მოგება		(220,197)	372,536
სულ კაპიტალი		(218,197)	374,536
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გადავადებული შემოსავალი		1,532,352	1,309,161
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		1,532,352	1,309,161
მიმდინარე ვალდებულებები			
საგადასახადო ვალდებულება		248,332	278,933
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	9	4,917,564	5,887,146
დარიცხული ვალდებულებები და ხარჯები		185,041	59,680
მიღებული ავანსები		63,072	61,827
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		1,439,612	2,979,854
სულ მიმდინარე ვალდებულებები		6,853,621	9,267,440
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		8,167,776	10,951,137

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2021 წლის 27 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი



იაროსლავ ნიცაძე

შპს ერექსონ საქართველო

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	2,573,627	4,033,072
სულ გრძელვადიანი აქტივები		2,573,627	4,033,072
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	6	1,082,083	2,489,278
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	3,921,242	1,172,871
საგადასახადო აქტივი		-	141,289
წინასწარ გაწეული ხარჯები		18,563	58,770
გადახდილი ავანსები		85,211	233,674
ფული და ფულის ექვივალენტები	8	487,050	2,822,181
სულ მიმდინარე აქტივები		5,594,149	6,918,065
სულ აქტივები		8,167,776	10,951,137
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		2,000	2,000
გაუნაწილებელი მოგება		(220,197)	372,536
სულ კაპიტალი		(218,197)	374,536
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გადავადებული შემოსავალი		1,532,352	1,309,161
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		1,532,352	1,309,161
მიმდინარე ვალდებულებები			
საგადასახადო ვალდებულება		248,332	278,933
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	9	4,917,564	5,887,146
დარიცხული ვალდებულებები და ხარჯები		185,041	59,680
მიღებული ავანსები		63,072	61,827
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		1,439,612	2,979,854
სულ მიმდინარე ვალდებულებები		6,853,621	9,267,440
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		8,167,776	10,951,137

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2021 წლის 27 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი

იაროსლავ ნიცაკ

ანგარიშების განუყოფელ ნაწილს.

შპს ერიქსონ საქართველო

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2020	2019
შემოსავალი გაწეული მომსახურებიდან		11,760,171	12,193,381
საერთო მოგება		11,760,171	12,193,381
რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება		(8,977,384)	(9,349,822)
თანამშრომლებზე გაცემული ანაზღაურება და	10	(1,698,618)	(1,762,875)
სარგებელი			
ცვეთა და ამორტიზაცია		(31,129)	(62,864)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო	11	(671,064)	(859,948)
ხარჯები			
საოპერაციო მოგება		381,975	157,872
ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი), წმინდა		(136,469)	(335,502)
კურსთაშორის სხვაობით წარმოშობილი	12	(838,209)	(417,177)
ზარალი, წმინდა			
წმინდა მოგება		(592,704)	(594,807)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
მთლიანი სრული მოგება		(592,704)	(594,807)

ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს ერიქსონ საქართველო

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2019 წლის 1 იანვრისთვის	2,000	1,212,595	1,214,595
წინა პერიოდის მიგების კორექტირება	-	(245,252)	(245,252)
დივიდენდები	-	-	-
წლის მთლიანი სრული მოგება	-	(594,807)	(594,807)
ნაშთი 2020 წლის 1 იანვრისთვის	2,000	372,536	374,536
წინა პერიოდის მოგების კორექტირება	-	-	-
დივიდენდები	-	(29)	(29)
წლის მთლიანი სრული მოგება	-	(592,704)	(592,704)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	2,000	(220,197)	(218,197)

7-16 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს ერისკონ საქართველო

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

წარმოდგენილი ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია შპს ერისკონ საქართველო - სთვის (შემდგომში „კომპანია“) 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის.

კომპანია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსდა 1999 წელს. ის რეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო მიერ, შემდეგ მისამართზე: ქალაქი თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ჭავჭავაძის გამზ., №74. საიდენტიფიკაციო ნომრით: 203864719.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სატელეკომუნიკაციო მომსახურება.

2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბერს მდგომარეობით კომპანიის სრული წილობრივი პაკეტის მფლობელი იყო კომპანია ტელეფონაკტივობლაგეტ ლ.მ. ერისკონი, შვედეთი.

მფლობელები	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
კომპანია ტელეფონაკტივობლაგეტ ლ.მ. ერისკონი, შვედეთი	100%	100%

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ჭავჭავაძის გამზ., №74

2. მომზადების საფუძვლები

ანგარიშგების შესაბამისობა

წარმოდგენილი ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

ეს არის კომპანიის მეორე ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მომზადებულია მსს ფასს-ის და მსს ფასს 35-ე განყოფილების „მსს ფასს სტანდარტებზე გადასვლა“ შესაბამისად. კომპანიის მსს ფასზე გადასვლის თარიღია 2018 წლის 1 იანვარი.

ფინანსური ანგარიშგების ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას. ის ასევე მოითხოვს კომპანიის ხელმძღვანელობისგან, რომ მსჯელობის საფუძველზე მოახდინოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო პოლიტიკის მიღება და დანერგვა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-4 შენიშვნაში.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც ასევე არის კომპანიის სამუშაო ვალუტაც.

რიცხვები ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულია ლარამდე დამრგვალებით, თუ სხვაგვარად არის არის აღნიშნული.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე, იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ხელმძღვანელობასა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განაგრძონ კომპანიის ბიზნესი საქართველოში. ხელმძღვანელობამ მიმოიხილა კორონა ვირუსის - COVID 19 -ის გავლენა კომპანიის ფუნქციონირებაზე და შეიმუშავა სამოქმედო გეგმა. ამ გეგმაზე დაყრდნობით,

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

ხელმძღვანელობა მოელის გარკვეული სახის უარყოფით გავლენას საკუთარ საქმიანობაზე, მაგრამ ეს არ შეუქმნის რისკს კომპანიის ფუნქციონირებას. შესაბამისად, ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენება საფუძვლიანია.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს უშუალოდ დაკავშირებულ ხარჯებს და მომავალი ვალდებულებების სავარაუდო დღევანდელ ღირებულებას, ასევე შეძენის მიმდინარე ფასს.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები ბალანსში ასახულია ისტორიული ღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში და ექვემდებარება სასარგებლო მომსახურების ვადის ბოლოს აქტივის ჩამოწერას.

ცვეთა ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფს ერიცხება წრფივად. სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი მიმოხილვა ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულ საფუძველზე.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი სასარგებლო მომსახურების ვადები:

კომპიუტერული ტექნიკა	3 - 10 წელი
ოფისის აღჭურვილობა	5 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	5 წელი
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	4 წელი
სხვა ძირითადი საშუალებები	5 წელი

აღჭურვილობა მომხმარებელთა საიტზე

ძირითადი საშუალებების ამ ჯგუფში ერთიანდება მოწყობილობები, რომელიც ეკუთვნის კომპანიას და რომელიც ქირავდება მომხმარებელზე ქირავნობის ხელშეკრულების ფარგლებში.

დაუმონტაჟებელი მოწყობილობები

ძირითადი საშუალებების ეს ჯგუფი აერთიანებს მშენებლობა/აწყობის პროცესში არსებულ აქტივებს, ქონებას და აღჭურვილობას, სანამ ასეთი ქონება გამოსაყენებლად არ იქნება მზად.

იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა

საიჯარო ქონების გაუმჯობესება ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც კომპანიას სჭირდება ოფისის ან საწარმოო სივრცის მახასიათებლების კორექტირება სპეციფიკურ საჭიროებებზე. ეს ხარჯები აღირიცხება როგორც იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა და კაპიტალიზდება, როგორც იჯარის საკუთრების გაუმჯობესება.

საიჯარო ქონების გაუმჯობესების ცვეთის ვადა არის უმცირესი აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის ხანგრძლივობასა და/ან იჯარის დარჩენილი ვადას შორის. საიჯარო ქონების გაუმჯობესების ამორტიზაციის პერიოდის განხილვა, ისევე როგორც ნებისმიერი აქტივის, კეთდება ყოველწლიურად.

ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად წარმოშობილი მოგება ან ზარალი განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებულია აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები. თვითღირებულება შედგება მარაგების შესყიდვისა და მათ საჭირო მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მიყვანის ყველანაირი დანახარჯისგან (მაგალითად: ტრანსპორტირების ხარჯი, საბაჟო მოსაკრებელი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები). რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება ფიფო მეთოდი.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები არის აქტივები, რომლებიც იოლად კონვერტირებადია ფულად სახსრებში და ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს საღარიბოში და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე სამ თვემდე ვადით. სამ თვეზე მეტი ვადიანობით შეზღუდული სახსრები არ შედის ფულისა და ფულის ექვივალენტებში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის ან მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების აღიარება თავდაპირველად ხდება რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომ ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, გაუფასურების ანარიცხის გამოკლებით.

ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური აქტივის პირველადი აღიარების შემდეგ დამდგარმა ერთმა ან ერთზე მეტმა მოვლენამ გავლენა მოახდინა მოთხოვნიდან მოსალოდნელ სამომავლო ფულად ნაკადებზე. გაუფასურების ზარალის ოდენობა განისაზღვრება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც მიიღება ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირების მეშვეობით.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები არის საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში მიღებული სერვისის ან შეძენილი საქონლის სანაცვლოდ მომწოდებლისთვის გადასახდელი თანხები. სავაჭრო და სხვა ვალდებულებების აღიარება თავდაპირველად ხდება რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომ ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

კაპიტალი და დივიდენდები

კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალისა და გაუნაწილებელი მოგებისგან. დივიდენდები აღირიცხება კაპიტალში იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდება. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაქვეყნებლად ნების დართვის თარიღამდე, იშიფრება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

დაბეგვრა

2017 წლის 1 იანვრიდან მოგების გადასახადის ახალი მოდელი შევიდა ძალაში. აღნიშნული ცვლილების მიზანი მოგების გადასახადის ადმინისტრირების გამარტივება და ბიზნესის ზრდის

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ხელშეწყობაა. ახალ მოდელში მთავარ ცვლილებას ერთობლივი შემოსავლის დაბეგვრის გადავადებაა, გაუნაწილებელი მოგების დივიდენდის სახით გაცემამდე. აღნიშნული ცვლილება გაზრდის მოგების

რეინვესტირების მოცულობას. მოგების გადასახადის განაკვეთი არ იცვლება და ძველი მოდელის მსგავსად 15% რჩება. დამატებით წლიურად დაბეგვრის ნაცვლად, გადასახადის დარიცხვა ყოველთვიურად მოხდება. მოგების გადასახადის ახალი მოდელის მიხედვით დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს შემდეგი ტრანზაქციები/გადახდები: დივიდენდის გაცემა; სხვაობა კონტრაქტის ღირებულებასა და საბაზრო ფასს შორის; ხარჯები, რომლებიც დაკავშირებული არ არის ეკონომიკურ საქმიანობასთან; საჩუქრები; წარმომადგენლობითი ხარჯები ლიმიტს ზემოთ. მოგების გადასახადის ახალი მოდელის სპეციფიკიდან გამომდინარე საგადასახადო და ფინანსურ ბაზებს შორის სხვაობა არ გვაქვს. შესაბამისად, არ წარმოიქმნება გადავადებული გადასახადი.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

შემოსავალი

შემოსავლის აღრიცხვა ხდება მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. შემოსავლების შეფასება ხდება სამართლიანი ღირებულების ოდენობით, ნებისმიერი ფასდაკლების, საბითუმო ფასდაკლების და დღგ-ს გამოკლებით.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავლების აღრიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კომპანია მომხმარებელს გადასცემს მფლობელობასთან და მართვასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებს და სარგებელს.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რომელიც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი შეღავათები აღიარდება იმ წელს, როდესაც თანამშრომელმა გასწია შესაბამისი მომსახურება.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ასევე მოვლენები ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე, რომელიც გვაწვდის დამატებით ინფორმაციას კომპანიის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შესახებ, შეტანილია ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი არსებითი მოვლენები, რომლებიც არ ახდენენ გავლენას კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის დღისათვის, ასევე წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მსგავსი შეფასებები და დაშვებები მუდმივად მუშავდება ისტორიულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, მათ შორის, ისეთი მომავალი მოვლენების გათვალისწინებით, რომელიც მოსალოდნელია გონივრულ ფარგლებში. მომავალში მიღებული ფაქტობრივი შედეგი შესაძლოა განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება. დამატებითი ინფორმაცია ძირითადი საშუალებების წმინდა საბალანსო ღირებულების შესახებ მოცემულია მე-5 განმარტებით შენიშვნაში.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს ფინანსური აქტივები ფასდება შესაძლო გაუფასურების ნიშნების აღმოსაჩენად. ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური აქტივის პირველადი აღიარების შემდეგ დამდგარმა ერთმა ან ერთზე მეტმა მოვლენამ გავლენა მოახდინა ფინანსური აქტივიდან მოსალოდნელ სამომავლო ფულად ნაკადებზე. კომპანია აფასებს ფინანსური აქტივების გაუფასურებას წარსული გამოცდილების საფუძველზე. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში.

შპს ერიქსონ საქართველო

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

5. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2019 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	დაუმონტაჟებული მოწყობილობები	კომპიუტერული ტექნიკა	ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
31 დეკემბერი 2018	52,731	6,131,414	122,225	12,000	133,330	6,451,700
შემოსვლა	-	461,247	-	-	-	461,247
გასვლა	(52,731)	-	-	-	-	(52,731)
31 დეკემბერი 2019	-	6,592,661	122,225	12,000	133,330	6,860,216
შემოსვლა	-	-	-	-	-	-
გასვლა	-	(5,931)	-	-	-	(5,931)
31 დეკემბერი 2020	-	6,586,730	122,225	12,000	133,330	6,854,285
დაგროვილი ცვეთა						
31 დეკემბერი 2018	-	(1,200,334)	(74,232)	(9,400)	(91,666)	(1,375,632)
წლის ცვეთა	-	(1,391,595)	(24,184)	(2,400)	(33,333)	(1,451,512)
გასული აქტივების ცვეთა	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2019	-	(2,591,929)	(98,416)	(11,800)	(124,999)	(2,827,144)
წლის ცვეთა	-	(1,424,274)	(20,709)	(200)	(8,331)	(1,453,514)
გასული აქტივების ცვეთა	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2020	-	(4,016,203)	(119,125)	(12,000)	(133,330)	(4,280,658)
ნეტო საბალანსო ღირებულება						
31 დეკემბერი 2019	-	4,000,732	23,809	200	8,331	4,033,072
31 დეკემბერი 2020	-	2,570,527	3,100	-	-	2,573,627

6. მარაგები

მარაგები 2019 და 2020 წლის 31 დეკემბრისთვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
დაუმთავრებელი წარმოება	1,082,083	2,489,278
სულ მარაგები	1,082,083	2,489,278

შპს ერიქსონ საქართველო

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2019 და 2020 წლის 31 დეკემბრისთვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ფინანსური მოთხოვნები		
სავაჭრო მოთხოვნები	3,921,243	1,172,871
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,921,243	1,172,871

სავაჭრო მოთხოვნების ვადაგადაცილება შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

31 დეკემბერი 2019	0-30 დღემდე	31-90 დღემდე	91-180 დღემდე	181 და მეტი	სულ მოთხოვნები
სავაჭრო მოთხოვნები	889,960	267,250	-	15,661	1,172,871
სულ	889,960	267,250	-	15,661	1,172,871
31 დეკემბერი 2020	0-30 დღემდე	31-90 დღემდე	91-180 დღემდე	181 და მეტი	სულ მოთხოვნები
სავაჭრო მოთხოვნები	3,221,169	690,041	-	10,032	3,921,242
სულ	3,221,169	690,041	-	10,032	3,921,242

8. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები 2019 და 2020 წლის 31 დეკემბრისთვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ფული ბანკში მიმდინარე ანგარიშებზე ლარში	485,955	2,798,636
ფული ბანკში მიმდინარე ანგარიშებზე სხვა ვალუტაში	1,095	23,545
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	487,050	2,822,181

შპს ერიქსონ საქართველო

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

9. მიმდინარე სასესხო ვალდებულებები

მიღებული სესხები 2019 და 2020 წლის 31 დეკემბრისთვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
მოკლევადიანი ნაწილი	4,917,563	5,887,146
სულ	4,917,563	5,887,146

კომპანიას აღებული აქვს მოკლევადიანი სესხი დედა კომპანიისგან, ნომინირებული აშშ დოლარში, დაფარვის ვადა განსაზღვრულია 2021 წლის 8 თებერვლამდე. ხელშეკრულებით განსაზღვრული ჯამური სესხის მოცულობა არის 2,500,00 აშშ დოლარი, თუმცა ამ ეტაპზე კომპანიამ მხოლოდ 1,950,000 აშშ დოლარის სესხი გამოიყენა, საიდანაც USD 450,000 უკვე დაფარა 2020 წლის განმავლობაში. მიღებულ სესხზე პროცენტის გაანგარიშება ხდება გასული დღეების რაოდენობის პროპორციულად, თუმცა იმ დაშვებით რომ კალენდარული წელი შედგება 360 დღისგან. სესხის საპროცენტო განაკვეთი იანგარიშება საპროცენტო პერიოდის დაწყებამდე ორი სამუშაო დღით ადრე, გამოყენებული საპროცენტო განაკვეთი დასტურდება მომზადებული დამადასტურებელი წერილის მეშვეობით.

2019 წლის 31 დეკემბრიდან და 2020 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდში ფინანსური ვალდებულების ნაწილში განხორციელებული ოპერაციები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
ნაშთი 1 იანვრისთვის	5,887,146	4,362,850
ფულადი მუხლები		
სესხის მიღება		803,300
ძირის გადახდა	(968,269)	
პროცენტის გადახდა	(446,615)	
არაფულადი მუხლები		
საპროცენტო ხარჯი, წარდგენილი მოგება ან ზარალში	136,469	410,850
გადაფასება	308,832	310,146
ნაშთი 31 დეკემბრისთვის		
სულ	4,917,563	5,887,146

10. ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

ხელფასები და თანამშრომელთა სარგებელი 2019 და 2020 წლის 31 დეკემბრისთვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2020	2019
ხელფასები	1,469,675	1,472,683
ბონუსები და სხვა სარგებელი	228,944	290,192
სულ ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	1,698,619	1,762,875

შპს ერიქსონ საქართველო

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

11. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები 2019 და 2020 წლის 31 დეკემბრისთვის შეიძლება წარმოდგენილ იყოს შემდეგნაირად:

	2020	2019
იჯარის ხარჯები	(262,629)	(260,429)
საკონსულტაციო და პროფესიული მომსახურებების ხარჯები	(196,292)	(277,457)
ოფისის ხარჯები	(78,746)	(87,480)
სხვა საგადასახადო ხარჯები (მოგების გადასახადის გარდა)	(40,626)	(57,565)
კომუნიკაციის ხარჯები	(22,795)	(50,662)
მივლინების ხარჯები	(21,194)	(33,533)
კომუნალური ხარჯები	(18,815)	(41,823)
წარმომადგენლობითი ხარჯები	(3,490)	(11,709)
ავტომანქანის მოვლის ხარჯები	(9,326)	(10,688)
ბანკის ხარჯი	(6,040)	(5,345)
სარეკლამო ხარჯები	-	(2,000)
სხვა	(11,111)	(21,257)
სულ ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	(671,064)	(859,948)

12. კურსთაშორის სხვაობით წარმოშობილი ზარალი

კურსთაშორის სხვაობით წარმოშობილი ზარალი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
რეალიზებული გაცვლითი კურსის სხვაობა	(1,252,809)	(273,791)
არარეალიზებული გაცვლითი კურსის სხვაობა	414,600	(143,386)
მოგება-ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან	(838,209)	(417,177)

13. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები - 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია არსებითი სასამართლო დავები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არ მოხდება მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად ანარიცხი არ არის შექმნილი სასამართლო დავებთან დაკავშირებით.

გადასახადები - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, მენეჯმენტის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და კომპანიას დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. კომპანიას მიაჩნია რომ ყველა გადასახადი გადახდილი აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

14. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

კომპანია დაკავშირებულ მხარეებზე განიხილავს კომპანიის აქციონერებს, საბჭოს წევრებს. მხარეები დაკავშირებულნი არიან იმ შემთხვევაში, თუ ერთს აქვს კონტროლი მეორეზე ან მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მის ოპერაციებზე. გავლენა მნიშვნელოვანია, როდესაც ზეგავლენას ახდენს ფინანსურ ან ოპერაციულ გადაწყვეტილებებზე. მხარეები, იურიდიული პირები და ფიზიკური პირები ასევე არიან დაკავშირებული, როდესაც ისინი სხვა პირის საერთო კონტროლის ქვეშ არიან.

კონტროლის ან გავლენის არსებობამ შეიძლება გავლენა იქონიოს იმ გარიგების პირობებზე, რომელშიც ორივე მხარე იღებს მონაწილეობას. ამ ტიპის ურთიერთობების განმარტება და პირობები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგების აღქმაში.

იმისათვის, რომ შემოწმდეს დაკავშირებულ მხარეებს შორის განხორციელებული ოპერაციების „გაშლილი ხელის მანძილის პრინციპთან“ შესაბამისობა, პირველ რიგში აუცილებელია გამოსაცდელი მხარის შერჩევა.

გამოსაცდელი მხარე არის კონტროლირებადი გარიგების მონაწილე, რომლის ფასები ან მოგება შემოწმდება „გაშლილი ხელის მანძილის პრინციპის“ სტანდარტის მიხედვით.

გამოსაცდელი მხარე, ძირითადად, არის ის მხარე, რომლის ფასები და მოგება შეიძლება დადასტურდეს ყველაზე საიმედო მონაცემებით და მოითხოვს ყველაზე მცირე და საიმედო კორექტირებას, და რომლისთვისაც შეიძლება დაიდენტიფიცირდეს არადაკავშირებული მხარის ყველაზე საიმედო შესადარისი მონაცემი. უმეტეს შემთხვევაში, გამოსაცდელი მხარე იქნება ნაკლებად კომპლექსური კონტროლირებადი გადამხდელი, რომელიც არ ფლობს ძვირფას არამატერიალურ ქონებას ან უნიკალურ აქტივებს, რომლებიც განასხვავებენ მას პოტენციურ შესადარის არადაკავშირებულ მხარისგან. ამკარაა, რომ ადგილობრივი კომპანიები გარიგების ყველაზე ნაკლებად რთული მხარეა და, სწორედ ეს კომპანიები იქნებიან გამოსაცდელი მხარეები ეკონომიკურ ანალიზში.

ფინანსური ოპერაციები კომპანიის მენეჯმენტთან და სხვა დაკავშირებული მხარეებთან:

ოპერაციის ტიპი	საანგარიშგებო წლის მონაცემები	საანგარიშგებო წლის წინა წლის მონაცემები
A. მოთხოვნები მიწოდებითა და მომსახურებით:		
1. დედა კომპანიაზე	-	-
2. ერიქსონის ჯგუფის წევრ სხვა კომპანიაზე	1,370,764	25,988
B. ვალდებულებები მიწოდებითა და მომსახურებით:		
1. დედა კომპანიაზე	-	-
2. ერიქსონის ჯგუფის წევრ სხვა კომპანიაზე	900,463	1,358,938
მენეჯმენტში დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა	1	1

15. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.